29/03/2024

MES 2 24 0000372630

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია- შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2.სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ცირა კეჟერაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. სს ფინური საერთაშორისო სკოლა:

აიეტი კუკავა - სკოლის დირექტორი და დამფუძნებელი
ნინო ბზეკალავა- სკოლის მენეჯერი
სალომე ოსეფაშვილი - სკოლის იურისტი
მალხაზ რაშოიანი- სკოლის იურისტი
ქეთი მეტრეველი- მშობელი
გიორგი ცობეხია- მომჩივანი მხარის ადვოკატი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

სს ფინური საერთაშორისო სკოლა:

ქეთევან ბაცანკალაშვილი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ია ქურიძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 18 მარტს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17

მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.სს ფინური საერთაშორისო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვ ა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე განაცხადა, რომმიმდინარე წლის 14 თებერვლის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა შპს „თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა - აკადემიაში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგები. საბჭოს გადაწყვეტილებით შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება მონიტორინგთან დაკავშირებით.
საბჭოს არ განუსაზღვრავს დაწესებულებისათვის რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელიც შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ჰქონდა გაწერილი.
საბჭოს წევრებმა აღნიშნული დოკუმენტაცია ცნობად მიიღეს და აღნიშნეს, რომ მოცემული შეესაბამებოდა ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს.

1. სს ფინურ საერთაშორისო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ ა ც ი ლ ე ბ ა ა რ ჰ ქ ო ნ დ ა თ .
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ

არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბაცანკალაშვილმა. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 23 და 24 იანვარს. სკოლა მდებარეობდა მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელი საგურამო, მე-7 ქუჩა, N7-ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას, ინგლისურ ენაზე. ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს სკოლაში აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 70-ს.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა წარმოადგინა სკოლის შესახებ ზოგადი ინფორმაცია და აღნიშნა, რომ 2019 წლის 23 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ფინეთის რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი ზოგადი განათლების მიმართულების თანამშრომლობის შესახებ ფინური განათლების მოდელების დანერგვის მიზნით. ექსპერტის განცხადებით, მემორანდუმში ნათლად იყო გაწერილი ის კრიტერიუმები, რაც საჭირო იყო ფინური საგანმანათლებლო მოდელის განსახორციელებლად. კერძოდ, ექსპერტის განმარტებით, ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაფორმებული ხელშეკრულების არსებობა ფინურ ლიცენზირებულ საგანმანათლებლო სააგენტოსთან. ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა განაცხადა, რომ სს ფინურმა საერთაშორისო სკოლამ პირველი ავტორიზაცია გაიარა 2020 წელს. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა პარტნიორობის ცნობა ფინეთის განათლების ეროვნული სააგენტოს მიერ კოორდინირებული სამთავრობო პროგრამის „Education Finland"-ის ოფიციალურ წევრებთან „Polar Partners Ldt", რომელთან თანამშრომლობითაც შეიქმნა ფინური საერთაშორისო კურიკულუმი.
ექსპერტმა, ასევე ისაუბრა 2023 წლის დეკემბერში სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შესულ განცხადებებზე, რომელიც გახდა მონიტორინგის საფუძველი. ქეთევან ბაცანკალაშვილის თქმით, 2023 წლის 21 დეკემბერს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, მიმართა განცხადებით ოთხმა უცხო ქვეყნის მოქალაქემ. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ 2023 წლის მაისში სს ფინური საერთაშორისო სკოლის ვებ-გვერდზე გაეცნენ ინფორმაციას თბილისში სკოლის ახალი ფილიალის გახსნის შესახებ, რის შემდეგაც მათ მიმართეს სკოლას მოსწავლეთა თბილისის ფილიალში ჩარიცხვის მიზნით. განმცხადებლები აფიქსირებდნენ, რომ მათი შვილები 2023 წლის 14 ივნისს მიიწვიეს გასაუბრებაზე ფინური სკოლის ე.წ. ,,თბილისის ფილიალში'' მისაღებად. თითოეულმა მშობელმა წინასწარ გადაიხადა გასაუბრების თანხა, ხოლო სკოლიდან მოსწავლეთა ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ გადაიხადეს სწავლის საფასური
მომჩივანი მხარე განცხადებაში ასევე აღნიშნავდა, რომ სკოლის ადმინისტრაციამ განმცხადებლებს შეატყობინა სწავლის დაწყების თარიღი, თუმცა არ იყო დაკონკრეტებული რომელ მისამართზე განახლდებოდა სასწავლო პროცესი. ადმინისტრაციის განმარტებით, მისამართის დაზუსტება მოხდებოდა ახალ შენობაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ. მომჩივანის განცხადებით, აგვისტოს ბოლოს ცნობილი გახდა, რომ შენობა მდებარეობდა თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე, ვარდების ბაღში. 2023 წლის 25 აგვისტოს მშობლებმა მიიღეს წერილი, რომ სარემონტო სამუშაოების გამო, სასწავლო პროცესი 4 სექტემბრის ნაცვლად დაიწყებოდა 18 სექტემბერს. ექსპერტის განმარტებით, მშობელთა

განცხადების თანახმად, 2023 წლის 18 სექტემბერიდან 2 ოქტომბრამდე სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ე.წ. ,,თბილისის ფილიალში'' სადაც არ იყო უზრუნველყოფილი შესაბამისი სასწავლო გარემო. 2 ოქტომბერს სკოლის ადმინისტრაციამ მშობლებს აცნობა, რომ თბილისის მისამართზე ვერ განახორციელებდა საგანმანათლებლო საქმიანობას, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა მოპოვებული აღნიშნულ მისამართზე სწავლების განხორციელების უფლება. სკოლამ მშობლებს შესთავაზა საგურამოს მისამართზე სწავლის გაგრძელება ან სკოლიდან ბავშვების გადაყვანა. სკოლა მშობლებს ასევე დაჰპირდა გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას. ექსპერტის განმარტებით, მშობლებისთვის ცნობილი გახდა, რომ ფინურმა განათლების სააგენტო SISU-მ სკოლას 2023 წლის აგვისტოს დასაწყისში შეუწყვიტა ლიცენზია და შესაბამისად, სს ფინურ საერთაშორისო სკოლას აღარ ჰქონდა კავშირი საერთაშორისო პროგრამასთან. ექსპერტის თქმით, მშობლებს სკოლასთან ჰქონდათ არაერთი კომუნიკაცია გადახდილი თანხების უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით, თუმცა, როგორც ისინი განცხადებაში აფიქსირებდნენ, თანხის დაბრუნების სავარაუდო პერიოდი სკოლის მხრიდან მუდმივად იცვლებოდა.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა რომ 28 დეკემბერს ცენტრში შემოვიდა საქართველოს მოქალაქის განცხადება, რომელშიც იგი განმარტავდა, რომ 2023 წლის 31 მაისს სს ფინურ საერთაშორისო სკოლას გადაუხადა 2023-2024 სასწავლო წლის სწავლის საფასური, ამავე წლის 23 ივნისს კი, მან აცნობა სკოლის ადმინისტრაციას, რომ მომდევნო სასწავლო წლიდან მოსწავლე არ გააგრძელებდა სწავლას ფინურ საერთაშორისო სკოლაში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მშობლის გადაწყვეტილების საფუძველი გახდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სკოლა აღარ აპირებდა მე-7 კლასში სასწავლო პროცესის უზრუნველყოფას.

ქეთევან ბაცანკალაშვილის განმარტებით, განაცხადებიდან ირკვეოდა, რომ სკოლა მშობლისთვის წინასწარ გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას გეგმავდა 2023 წლის აგვისტოდან მომდევნო 9 თვის განმავლობაში. ექსპერტის თქმით, სკოლას თანხა არ დაუბრუნებია.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა, ასევე ისაუბრა განხორციელებული მონიტორინგის შედეგებზე. მისი განმარტებით, ვიზიტის დროს დადგინდა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა დაწყებული მომჩივანი მხარისთვის წინასწარ გადახდილი თანხების დაბრუნების პროცესი, თუმცა 2024 წლის 11 მარტს სკოლის მიერ ცენტრში წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაციით დასტურდებოდა 4 უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის თანხების სხვადასხვა ოდენობით ჩარიცხვა, მაგრამ დაწესებულებას არ წარმოუდგენია საქართველოს მოქალაქეებისთვის თანხის დაბრუნების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს ხელშეკრულებების, ელექტრონული მიმოწერისა და სხვა დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ 2023 წლის აგვისტოს შემდეგ, დაწესებულებას არ ჰქონდა ფინეთის საგანმანათლებლო სააგენტოსთან გაფორმებული მოქმედი ხელშეკრულება ფინური კურიკულუმის განხორციელების მიზნით, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა ფინურ სააგენტოსთან "Educluster Finlad" ორმხრივად გაფორმებული თანხმობა თანამშრომლობის შეთავაზებაზე, რაც წარმოადგენდა ორგანიზაციებს შორის მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობას, თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია უშუალოდ გაფორმებული ხელშეკრულება.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა ასევე ისაუბრა ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და განმარტა, რომ პირველი სტანდარტი შეფასდა როგორიც „შეესაბამება" სტანდარტის მოთხოვნებს, მე-3 სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება" სტანდარტის მოთხოვნებს, კომპონენტები 3.1, .3.2 , 3.3, 3.4, 3.5, 3.6 და 3.7 კი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისად".

მე-4 სტანდარტი შეფასდა როგორც „ არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ვინაიდან, კომპონენტი 4.1 შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება". რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა), ექსპერტთა მიერ ვერ მოხდა აღნიშნული სტანდარტის შეფასება, რადგან ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა

წარმოდგენილი ფინურ საგანმანთლებლო ორგანიზაციასთან გაფორმებული მოქმედი ხელშეკრულება.
ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ კომპონენტთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ ან „ ნაწილობრივი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა, პრეზენტაციის სახით, წარადგინა სკოლის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების ამსახველი ფოტო-მასალა.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, რომელ მისამართზე ჰქონდა სკოლას მიღებული ავტორიზაცია 2020 წელს.
მოსწავლის მშობელმა, ქეთი მეტრეველმა, აღნიშნა, რომ თავდაპირველად სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა ქალაქ თბილისში, დიღომში, ხახულის ქუჩა N8-ში.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ითხოვა დაზუსტება, თუ რატომ სჭირდებოდა სკოლას ახალი ფართის დამატება.
სკოლის დამფუძნებელმა, აიეტ კუკავამ განმარტა, რომ დიღომში არსებული შენობის ფართი არ იყო საკმარისი საგანმანათლებლო საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელებისთვის, ამიტომ საჭირო გახდა ფართის ცვლილება.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა, რა ეტაპზე იყო ამჟამად მოსწავლეთა მშობლებისთვის თანხის დაბრუნების პროცესი.
სკოლის იურისტმა, მალხაზ რაშოიანმა, განაცხადა, რომ ამჟამად დაწესებულებამ ყველა მომჩივან მხარესთან მიაღწია შეთანხმებას. მისი თქმით, დაბრუნებული იყო თანხების 50%-ზე მეტი. იურისტის განმარტებით, მას ჰქონდა აქტიური კომუნიკაცია მომჩივანი მხარის ადვოკატთან და მხარეებს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. ამ ეტაპზე მათ ამ საკითხთან დაკავშირებით სკოლასთან პრეტენზია არ გააჩნდათ. იურისტმა, ასევე აღნიშნა, რომ სკოლის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა მოსწავლეთა ინტერესები, ამიტომ დაწესებულებამ შესთავაზა მშობლებს მოსწავლეების სკოლაში დარჩენა, ვინაიდან, მშობლების ინიციატივით მოხდა საკითხის სამართლებრივ ჭრილში განხილვა, სკოლამ დაიწყო მხარეთა შორის მოლაპარაკებები და იურისტის განცხადებით, თანხის დაბრუნება მოხდა შეთანხმებულ დროს.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა, ზუსტად როდის დააბრუნა სკოლამ აღნიშნული თანხები.
სკოლის იურისტმა, მალხაზ რაშოიანმა, განაცხადა, რომ სკოლამ თანხები დააბრუნა თებერვალის თვეში.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ გამოთქვა ეჭვი, რომ სკოლის მხრიდან თანხების დაბრუნება განპირობებული იყო საჩივრისა და მის საფუძველზე განხორციელებული მონიტორინგის გამო და არა მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.
სკოლის მოსწავლის მშობელმა, ქეთი მეტრეველმა, გაიზიარა საბჭოს თავმჯდომარის განცხადება და დაადასტურა, რომ მომჩივან მხარესაც ჰქონდა ეჭვი, რომ სკოლის მხრიდან გადადგმული ნაბიჯები იყო იძულებითი, რაც თავის მხრივ, გამოწვეული იყო მონიტორინგისა და საკითხის სამართლებრივი გზით მოგვარების მიზნით. მან ასევე განაცხადა, რომ სკოლას მისთვის თანხა ჯერ არ ჰქონდა დაბრუნებული.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ სკოლას თანხები დაბრუნებული ჰქონდა მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რა კრიტერიუმების მიხედვით განსაზღვრავდა სკოლა თანხის დაბრუნების პროცესში პრიორიტეტებს.
სკოლის იურისტმა, მალხაზ რაშოიანმა, განმარტა, რომ სკოლა არ აბრუნებდა თანხებს კონკრეტული პრიორიტეტების მიხედვით. ამ პროცედურის წარმართვა დამოკიდებული იყო

სკოლის ბიუჯეტზე. მისი განცხადებით, სწავლის საფასურის დაბრუნება ხდებოდა ეტაპობრივად და საქართველოს მოქალაქე მომჩივანი მშობელიც თანხას მიიღებდა სრულად.

მომჩივანი მხარის ადვოკატმა, გიორგი ცობეხიამ, გადახდილ თანხებთან დაკავშირებით, საბჭოს წინაშე განაცხადა, რომ გადახდილი საფასურის ნახევარი სკოლამ დააბრუნა, ამ ეტაპზე მიმდინარეობდა სასამართლო დავა, თუმცა მორიგების პრინციპზე შეთანხმებული იყო ორივე მხარე. მან აქვე, კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, თუ რა ქმედებები განახორციელა მოსწავლეებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, მას შემდეგ რაც შეიტყო, რომ სკოლას ჰქონდა ფართის პრობლემა, ასევე რა იყო სწავლების საფასურის სხვაობის მიზეზი თბილისისა და საგურამოს ფილიალებს შორის.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ დასმულ კითხვებზე პასუხი საბჭოსთვისაც საინტერესო იქნებოდა და მიმართა სკოლის წარმომადგენლებს პოზიციის დაფიქსირებისთვის.

სკოლის დირექტორმა, აიეტ კუკავამ აღნიშნა, რომ სკოლაში სწავლობდნენ ისეთი მოსწავლეებიც, რომლებიც გათავისუფლებული იყვნენ გადასახადისგან, ასევე ისინი, ვინც სარგებლობდნენ გარკვეული შეღავათით. გადასახადის ოდენობა უკავშირდებოდა ტრანსპორტირებას, მრავალშვილიანობასა და სხვა ინდივიდუალურ შემთხვევებს. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე გვიან დარეგისტრირდებოდა, იზრდებოდა გადასახადიც, ვინაიდან სკოლას ეზრდებოდა სასწავლო რესურსების ხარჯი, კერძოდ სახელმძღვანელოები და ინვენტარი. თბილისის შენობასთან დაკავშირებით სკოლის მენეჯერის, ნინო ბზეკალავას განმარტებით, თბილისში არსებული შენობა არ შეესაბამებოდა ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს და აღნიშნულ მისამართზე შეუძლებელი იქნებოდა სასწავლო პროცესის განხორციელება. მისი თქმით, იგი შეხვდა მოსწავლეთა მშობლებს და შესთავაზა, ბავშვების საგურამოში გადაყვანა უფასო ტრანსპორტირების მომსახურებით, თუმცა სკოლამ მშობლებისგან უარი მიიღო.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა აღნიშნა რომ ჩარიცხვები სკოლის მხრიდან დოკუმენტაციის მიხედვით განხორციელებული იყო მარტში და არა თებერვალში.

სკოლის იურისტმა მალხაზ რაშოიანმა განაცხადა, რომ თანხის დაბრუნება დაიწყო 29 თებერვალს და დასრულდა 01 მარტს, რაზეც საბჭოს წევრებმა მორის დანდურიშვილმა და თამარ მამსიკაშვილმა განაცხადეს რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით გადახდები განხორციელებული იყო მხოლოდ მარტის თვეში.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, თუ რამ განაპირობა ფინური განათლების სააგენტოს მიერ სკოლისთვის ლიცენზიის შეწყვეტა 2023 წლის აგვისტოში.

სკოლის დამფუძნებელმა აიეტ კუკავამ განაცხადა, რომ თავდაპირველად სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა ფინელ პარტნიორებთან, რომელებიც წარმოადგენდნენ კონსორციუმს და უზრუნველყოფდნენ არამარტო ფინური განათლების სისტემის დანერგვას, არამედ ისეთი საკითხებთან დაკავშირებული ცოდნის გაზიარებას, როგორიც იყო მაგალითად მატერიალური რესურსების უზრუნველყოფა. განცხადებით ეს იყო სამწლიანი გეგმა, თუმცა ამ წლების განმავლობაში სკოლამ ფინანსური სარგებელი ვერ ნახა. ამიტომ ხელშეკრულება გაფორმდა კიდევ ერთ ფინურ ორგანიზაციასთან იმის იმედით, რომ სკოლა შეძლებდა მოგებაზე გასვლას, თუმცა უშედეგოდ, ამიტომ აღნიშნულ ორგანიზაციასთან ხელშეკრულება შეწყდა 2023 წლის აგვისტოში. სკოლის დამფუძნებელმა აღნიშნა, რომ ამის შემდეგ, მათ აირჩიეს კიდევ ერთი ცნობილი ფინური ორგანიზაცია, რომლითაც სკოლა საკმაოდ კმაყოფილი იყო.

სკოლის დამფუძნებელმა აიეტ კუკავამ, ასევე განმარტა, რომ დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდებოდა უწყვეტად, ფინური მოდელით, რადგან პროცესის უწყვეტობას განაპირობებდნენ შესაბამისად გადამზადებული კვალიფიციური კადრები. დამფუძნებლის განცხადებით, სკოლა ფინეთის განათლების სამინისტროსგან პერიოდულად ყიდულობდა სასწავლო კურიკულუმს და ახდენდა მისი შედეგების ანალიზს.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა ფუნქციონირებდა თუ არა სკოლა 2023 წლის სექტემბერისა და ოქტომბერის თვეში, თბილისის მისამართზე.

საბჭოს წევრები შავა მეკრავიშვილი და გიორგი გიგიბერია, ასევე დაინტერესდნენ მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებით მოსწავლეები რომელ კლასში და ტერიტორიულად სად ირიცხებოდნენ.
სკოლის დამფუძნებელმა აღნიშნა, რომ მოსწავლეები ჩარიცხულები იყვნენ საგურამოს მისამართზე, თუმცა თბილისში მდებარე „ფილიალში“ გადიოდნენ ადაპტაციის პროცესს.
საბჭოს წევრმა, გიორგი გიგიბერიამ და საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ განაცხადეს რომ აღნიშნულ კითხვაზე პასუხი, არ იყო დამაკმაყოფილებელი.

საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, დაინტერესდა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციით, რომლის შინაარსში იკვეთებოდა, რომ სკოლა არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებს. კერძოდ, ექსპერტებს 3.2.1.4 ინდიკატორთან მიმართებით მითითებული ჰქონდათ, რომ სპეციალური მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ იყო შესაბამისობაში ზოგადი განათლების შესახებ კანონის 21-ე მე-3^1 მუხლის მოთხოვნებთან.
სკოლის იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა, განმარტა, რომ დაწესებულებას ჰყავდა არა სპეციალური მასწავლებელი, არამედ ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და მასთან დაკავშირებით ვერ გავრცელდებოდა კონკრეტული რეგულაცია.
მორის დანდურიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, რა ფუნქცია ჰქონდა ინკლუზიური განათლების სპეციალისტს. ის, ასევე დაინტერესდა მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით და აღნიშნა, რომ ექსპერტს მითითებული ჰქონდა რეკომენდაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანების თანახმად, მასწავლებელთა ნაწილთან არ იყო გაფორმებული ხელშეკრულება სტატუსების მიხედვით. სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტებული იყო, რომ სკოლაში სწავლება მიმდინარეობდა ფინური კურიკულუმის შესაბამისად, ინგლისურ ენაზე, რომელთან დაკავშირებითაც არსებობდა მემორანდუმი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ფინეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შორის, შესაბამისად მასწავლებლებთან სტატუსების შესაბამისი ხელშეკრულება ვერ გაფორმდებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა მემორანდუმი ითვალისწინებდა თუ არა 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანების გაუთვალისწინებლობის დათქმა.
სკოლის იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა განმარტა, რომ სკოლას დასაქმებული ჰყავდა ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი, რომელიც პროფესიით იყო ფსიქოლოგი, აფასებდა მოსწავლეებს, აკვირდებოდა გარემოსთან მათი ადაპტაციის პროცესს და კონსულტირებას უწევდა მშობლებს. სკოლის იურისტმა აღნიშნა, რომ ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ფუნქცია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სპეციალური მასწავლებლის საქმიანობისგან, ვინაიდან ის ემსახურებოდა სკოლაში ჩარიცხულ ყველა ბავშვს. ასევე, სალომე ოსეფაშვილმა განმარტა, რომ სკოლაში ირიცხებოდა ერთი სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე, რომელსაც ჰყავდა პერსონალური ასისტენტი.
აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა სკოლის წარმომადგენელს განუმარტა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის 16/ნ ბრძანების შესაბამისად, რომ აღნიშნული ბრძანება შეეხებოდა ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესებს, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა

იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცებას და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის სამსახურში დასაქმების წესსაც. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება იყო სამართლიანი და სკოლას უნდა ეხელმძღვანელა აღნიშნული ბრძანებით.
სკოლის იურისტის განმარტებით, 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებასთან დაკავშირებით, გაფორმებულ მემორანდუმში არ არსებობდა მსგავსი დათქმა და აღნიშნა, რომ მემორანდუმში საუბარი იყო უცხოური პროგრამის განხორციელებაზე. ვინაიდან, ფინური კურიკულუმები სრულიად განსხვავდება ქართული ეროვნული სასწავლო გეგმისგან, სკოლა ვერ იხელმძღვანელებდა იმ მითითებებით რაც 174/ნ ბრძანებაში იყო განსაზღვრული.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, დაინტერესდა, რატომ ეწინააღმდეგებოდა 174/ნ ბრძანებაში გათვალისწინებული მოთხოვნები, ფინური კურიკულუმის განხორციელების სტანდარტებს, რასთან დაკავშირებითაც სკოლის იურისტმა განმარტა, რომ სკოლაში არ იყვნენ დასაქმებული კონკრეტული მიმართულების მასწავლებლები, არამედ იყო ზოგადი მასწავლებელი, რომელიც სხვადასხვა ფუნქციებს ასრულებდა და იმ შემთხვევაში თუ მასწავლებლებთან ხელშეკრულებას საქართველოს კანონმდებლობასთან თანხვედრაში დადებდნენ, მოუწევდათ ისეთი საგნების სწავლება, რომელიც არ გულისხმობდა სს-ფინურ საერთაშორისო სკოლის სასწავლო პროგრამა, გარდა ქართული ენისა.
საბჭოს წევრმა მორის დანდურიშვილმა სკოლას მისცა რჩევა, რომ ექიმის ვაკანსია გამოექვეყნებინათ Hr.gov.ge-ზე, ვინაიდან მეტად მასშტაბიანი პლატფორმა იყო.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია დაინტერესდა, რატომ მოიხსენიებდნენ თბილისის შენობას როგორც Pre - school-ს და სწავლობდნენ თუ არა სკოლის ასაკის ბავშვები ამ მისამართზე.
სკოლის იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა განმარტა, რომ მოსამზადებელი ეტაპი გათვლილი იყო ისეთი ბავშვებისთვის, რომლებსაც სამომავლოდ სურვილი ჰქონდათ ესწავლათ სს ფინურ საერთაშორისო სკოლაში. მან ასევე დაადასტურა, რომ თბილისის მისამართზე სწავლობდნენ სკოლის ასაკის ბავშვები, თუმცა არაოფიციალურად. ისინი გადიოდნენ მხოლოდ ადაპტაციისა და შეგუების ეტაპს, თუმცა როგორც კი სკოლა მიიღებდა პროგრამის აღიარების დოკუმენტაციას, ავტომატურად ჩაირიცხებოდნენ და სწავლებას განაგრძობდნენ საგურამოში.
მშობელმა, ქეთი მეტრეველმა, საგურამოს მისამართზე ტრანსპორტირების საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ როდესაც ტრანსპორტირების სერვისის მიღებისთვის მიმართეს სკოლას, ჯამურ გადასახდელ თანხას საკმაოდ სოლიდური თანხა ემატებოდა. გარდა ამისა, სკოლის მენეჯერისგან მიიღეს ინფორმაცია, რომ თბილისის მისამართზე იგეგმებოდა მაღალი კლასების დამატება და მან მშობლებს შესთავაზა, ბავშვები გადაეყვანათ თბილისში. აქედან გამომდინარე, მშობლისათვის ბუნდოვანი იყო, რატომ მოიხსენიებოდა თბილისის შენობა როგორც „Pre-school-ი“.
სკოლის დამფუძნებელმა, აიეტ კუკავამ განაცხადა, რომ ვინაიდან ისინი გეგმავდნენ თბილისში ახალი ფართის შეძენას, რაც გარკვეული მიზეზების გამო ამ ეტაპზე შეუძლებელი იყო.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაუბრუნდა მასწავლებლების საკითხს და კითხვით მიმართა ექსპერტებს, სკოლის მასწავლებლების კვალიფიკაცია თანხვედრაში იყო თუ არა კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.
ექსპერტმა, ია ქურიძემ განმარტა, რომ ქართველი მასწავლებლები ძირითადად იყვნენ უფროსი სტატუსის მქონენი. ვიზიტის დროს ექსპერტთა მხრიდან ყურადღება გამახვილდა უცხოელ მასწავლებლებზე, რომლებიც ასწავლიდნენ იმ საგნებს, რომლებიც შეუსაბამო იყო მათ კვალიფიკაციასთან. ია ქურიძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა მიმართა სკოლას წარმოედგინა მასწავლებელთა საქმიანობის ნებართვის შესახებ რაიმე მტკიცებულება, თუმცა დაწესებულებამ მსგავსი შინაარსის წერილი ვერ წარმოადგინა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო 17:40
დასრულების დრო 17:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სს ფინური საერთაშორისო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის მე-19 პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სს ფინური საერთაშორისო სკოლის (ს/კ: 404557234) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის აპრილიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - 1-ლი; მე-2 (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა); მე-3 და მე-4 სტანდარტები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 18:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა